



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### გურნა



გურნა, აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული კონუსის ფორმის ერთლეროვანი ჩასაბერი მუსიკალური საკრავი. თვით ტერმინიც არაბ.-სპარს. წარმოშობისაა. ივ. ჰავახიშვილის აზრით ამ საკრავის გავრცელება აღმ. საქართვ. რეგიონებში ძირითადად XVII ს-იდან იწყება. საქართველოში ამზადებენ უმთავრესად გარგარის, აგრეთვე კაკლის ხისაგან, ღერობე ბედა მხრიდან ამოჭრილია 7-8 თვალი, ზურგის მხრიდან - ერთი. ბოლო განიერი აქვს. ღეროს სიგრძე 28-30 სმ. 8-ის დიაპაზონია მცირე ოქტავის Ե - III ოქტავის C. ზოგჯერ შეიძლება IV ოქტავამდე გაზრდაც. მისი მყიფე, გამყინვი და ჭყიპინა ტემბრი კარგად მიესადაგება სპორტული (ჭიდაობა, ბერიკაობა, ყაბახი და სხვ.) პაექტობების დაძაბულობასა და ლხინის, სახალხო დღესასწაულების ამაღლებულ განწყობას, რასაც დოლის რიტმული თანხლებაც უწყობს ხელს. 8. საანსამბლო საკრავია. მეტურნეების ანსამბლს (დასტა) შეადგენენ: უსტაბაში (I მეტურნე), დამქაში (II მეტურნე) და მედოლე. იყენებდნენ აგრეთვე ბრძოლის ველზე, საბრძოლო განწყობის ასამაღლებლად. ხშირად იხსენიება XVII-XVIII სს. ქართ. ლიტერატურაში.

ლიტ.: გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი., თხ. კრ. ხუთ ტომად, ფ. 3, თბ., 1963.